სამშობლო დედის ძუძუი, არ გაიცვლების სხვაზედა..

ოდისეა

1932
სამშაბათი
16
ივნისი
№ 9 (1054)
ფასი 1 მანეთი

ზუგდიდის დამოუკიდებელი საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი

გაზეთი გამოდის 1930 წლის 1 მარტიდან

ეროვნული ბიბლიოთეკა

მწვანე გზა — თავისუფალ მეწარმეობას

ამჟამად არსებული ვითარება უნუგეშობის შეგრძნებას ბადებს. ადამიანები მოიცვა შიშმა, პანიკამ, იმაზე ფიქრმა, თუ რას გვიქადის ხვალინდელი დღე. შეეძლებთ კი თავი დავაღწიოთ ასეთ ქაოსს და რაღაცნაირად ვარეგულიროთ, მართვადი გავხადოთ მოშლილ — მორღვეული კავშირები, სტრუქტურები?

ყველას გვახსოვს, ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ გაჩაღებული ტოტალური კამპანიის პერიოდში როგორი სისასტიკით ვებრძოდით ლაზიშვილებსა და მათი ტიპის ეგრეთწოდებულ „საქმოსნებს", რომლებიც სოციალისტური წარმოების წესის დამრღვევებად და საზოგადოებრივი აზრის შემაშფოთებლად მოგვევლინენ. რა საოცარ პარადოქსებს გვთავაზობს დრო. დღეს კომერციული გაქანების კაცს იქით ვეხვეწებით, ოღონდ რაიმე ეკონომიკურად მომგებიან სტრუქტურას თავი მოაბას და მწვანე შუქს ვინღა დაამადლის.

რამდენიც არ უნდა ვიტყუოთ თავი, დღეს არსებული პოლიტიკური დესტაბილიზაციის გამომწვევ ფაქტორებზე ხმა რომც ჩავიკმინდოთ, ერთი რამ ცხადია: ვიმყოფებით მეტად არამდგრად, ძნელად სამართავ ფაზაში. კანონი არ კანონობს, მთელ რიგ სფეროში სუფევს განუკითხაობის ატმოსფერო, სახელმწიფოს ბიუჯეტს საძირკველი გამოცლილი აქვს. სულ უფრო მწარედ გვასობს თავის კლანჭებს საქონლის დეფიციტი და ფულის ინფლაცია.

და მაინც, ყოველი ჩვენგანი იბრძვის თავის გადარჩენისათვის, ესწრაფვის კონკრეტული ქმედების ბერკეტებს, ძიების სტიმულს, სიცოცხლის ხალისს. ადამიანებს სწყურიათ რეალური შინაარსით დაიტვირთოს ისეთი ცნებები, როგორიცაა, პრივატიზაცია, თავისუფალი მეწარმეობა, დიდი და მცირე ბიზნესი, აქციონერული საზოგადოება, ასოციაცია და ა. შ. დროა, წერტილი დაესვას ამგვარი კატეგორიებით სატყვიერ მანიპულირებას და წამოვიწყოთ ახალი ეკონომიკური სტრუქტურების, საბაზრო ურთიერთობებისათვის შესაფერი ნიადაგის მოშზადება.

ეკონომიკური რეფორმები კი, ჩვენდა სამწუხაროდ, დღემდე ყოვნდება? ჯერჯერობით სახელმწიფო სექტორის მფლობელობაშია წარმოების ძირითადი საშუალებები. ჯერ მხოლოდ დამუშავების პროცესშია პრივატიზაციის სფეროები, ეტაპები, საკანონმდებლო აქტები და ა. შ. ჩვენთვის ცნობილია, რომ ქალაქის ადგილობრივ მმართველობაში ფუნქციონირებს შესაბამისი სამსახური, ვისაც ავალია აღნიშნული პროცესების სწორად წარმართვა და მათგან ველით გადამწყვეტი ნაბიჯების გადადგმას.

ამ რთული და მრავალსახა პროცესის მართვა უნდა ვანდოთ ახლებურად მოაზროვნე, ნოვატორ ადამიანებს, რომელთაც შესწევთ კომპეტენტურობა და მამულიშვილობა თანდათან ფეხზე წამოაყენონ რეგიონის დანგრეული ეკონომიკა. ყოველნაირი ბარიერები უნდა აღიმართოს იმათ წინააღმდეგ, ვინც მზაკვრულად დღესაც ცდილობს მავანთა მაამებლობას, ძმაკაცობის ინსტიტუტის აღორძინებას და ამით ნამდვილი პროფესიონალიზმის ბლოკირებას.

ჩვენი გატანჯული ქვეყანა მანამ ვერ მოითქვამს სულს, სანამ არ დაამკვიდრებს ნამდვილ კომერციას, რომელიც ემყარება პატიოსან გარიგებას, პირის გაუტეხლობას, სიტყვის კაცობას და გამორიცხავს

დაყოვნების ლიმიტი ამოწურულია

სიცრუეს და მოჩვენებითობას. ჭეშმარიტი საქმის კაცები სულმოუთმენლად ელიან ისეთ ვითარებას, როცა საბოლოოდ ყველა გაუვა ათასი ჯურის, ბიუროკრატიულ ზღუდეებს, „საქმიანი" ქაოლდების ზვინებს და ფრთებს გაშლის სამართლებრივი ნორმა, ჭეშმარიტი მეწარმის წამახალისებელი, ხოლო თაღლითის შემბოჭავი იურიდიული მექანიზმი.

პრივატიზაციის გაბედულ ნაბიჯზეა გათვლილი ჩვენი ხვალინდელი ეკონომიკა. მაგრამ ეს რომ ახე მოსდეს უნდა შევძლოთ ნდობისა და ურთიერთ პატივისცემის აღდგენა დაპირისპირებულ მხარეთა შორის, საზღვარწაშლილი ვნებათა ღელვის მოთოკვა და დარბეული საცხოვრისის აღდგენა-განახლების ეინით დამუშტვა.

ქამი თვითგანწმენდის...

დღეს საქართველო თავისუფლების მიჯნაზე დგას. თუმც სისხლით, მაგრამ მაინც გვიახლოვდება ორასწლიანი ნაცნობარი თავისუფლება. სისხლი იღვრება შიდა ქართლისთვის, მტერი ეპოტინება აფხაზეთს. ყველგან „ჭირსა შიგან გამაგრება" გვმართებს.

ასეთ დროს ბეჭდვით სიტყვას თავისი უცვლელი დანიშნულება აქვს. რადგანაც პრესა ოფიციალურად დამოუკიდებლად გამოცხადდა, მთელი პასუხისმგებლობა დღეს პრესის მუშაკებს ეკისრება სიტყვის ჭეშმარიტ გათავისუფლებისათვის.

თავისუფალი სიტყვა მხოლოდ ჭეშმარიტ შემოქმედების ნაყოფი შეიძლება იყოს. ჟურნალისტის საქმიანობა უნდა გახდეს მართლა შემოქმედებითი, მისი ყურადღების ცენტრში უნდა მოექცეს ადამიანი მთელი თავისი პრობლემებით და არა ჭანჭიკი (ვინ რამდენი მოსავალი მოიყვანა).

არსებული მთავრობისადმი „მღიქვნელურ—ერთგული" წერილების სერიალს მწარე შედეგებამდე მივყავართ, რაც მკაფიოდ დაგვანახა ჩვენმა წარსულმა.

ამდენი ვნებათაღელვების, სისხლიანი თუ უსისხლო ბატალიების, შეხლა-შემოხლის შემდეგ თუ ჯერ არ დამდგარა, აუცილებლად დადგება ქამი თვითგანწმენდის, თვითჩაფიქრების.

მხოლოდ დასაბუთებულ, არგუმენტირებულ, კეთილსინდისიერ მსჯელობას შეუძლია ადამიანი მიიყვანოს რაიმეს რწმენამდე. ზერელე, ზედაპირული განცხადებები, იმპერიული პერიოდის ჩვევებიდან გადმოყოლილი ლოზუნგური მსჯელობა თანდათან, მაგრამ მაინც უნდა განდევნოს დროის შესაფერისმა ახალმა აზროვნებამ.

შენღობა და არა განკითხვა, კეთილგამიზნული კრიტიკა და არა ანგარიშსწორება, აი რითი შეიძლება პრესა მართლაც ღვმოკრატიული გახდეს, მართლაც წინ წარუძღვეს ერს ჭეშმარიტებისაკენ.

ყოველ აზრს არგუმენტირებულს, დასაბუთებულს აქვს არსებობის უფლება და ამდენად პუბლიკაციის უფლებაც. პატივი უნდა ვცეთ განსხვავებულ აზრს, თუნდაც მცდარს, პატივი უნდა ვცეთ პიროვნებას, რომელიც ჭეშმარიტებისაკენ ილტვის. განსხვავებული აზრის, განსხვავებული პოზიციის უგულვებელყოფამ მიგვიყვანა საზოგადოების ურთიერთდაპირისპირებამდე.

ეშმაკი ყოფს, ღმერთი ამთლიანებს. ჩვენი საზოგადოების ამგვარი დაყოფაც ეშმაკისეულია. ჩვენი ხსნა ღვთიურ გამთლიანებაშია. მაგრამ ეს როდი გამორიცხავს სხვადასხვა პოზიციების არსებობას, ამ პოზიციათა ცივილიზებულ დაპირისპირებულობაში უნდა იმვალ ჭეშმარიტება.

კამათი დღევანდელ დონეზე დიდ ინტელექტს—კამათის კულტურასა და მასშტაბურ ცოდნას მოითხოვს. სწორედ ეს უნდა გითვალისწინოს ყოველმა, ვინც ამ მიზნით კალამს აიღებს.

ძ. ტაბაღუა.

ჩაი ჩვენი არსობის პურია

ჩაის მწარმოებელ რაიონებს შორის ზუგდიდი ერთერთი წამყვანი და ტონის მიმცემი რეგიონია. საქართველოში. სამწუხაროდ უნდა ითქვას, რომ ჩაის პლანტაციებში მოვლითი. სამუშაოების ჩაუტარებლობამ, საკრეფად შემოსული ფოთლის გადაუხეშება გამოიწვია. მაგრამ რა გინდ გადაუხეშებული არ უნდა იყოს ფოთოლი, იგი მაინც უნდა იქნას გადაღებული, რათა არ შეფერხდეს ბუჩქების შემდგომი ეგეტაცია.

ჩაის კრეფა რაიონის საზოგადოებრივ მეურნეობებში დიდი დაგვიანებით დაიწყო. 15 ივნისისათვის სულ დამზადებული იყო 1540 ტონა ნედლეული. მოკრეფილი ფოთლის საერთო რაოდენობიდან ლომის წილი ახალბასთუმნის კოლმეურნეობაზე მოდის. ახალბასთუმნელებმა მოკრიფეს და გადამამუშავებელ მრეწველობას ჩაბარეს 130 ტონაზე მეტი ხარისხოვანი ნედლეული. ხოლო ნარაზენის კოლმეურნეობაში დამზადდა 80 ტონა ჩაის მწვანე ფოთოლი.

ამ დროისათვის 50-50 ტონა ხარისხოვანი ფოთოლი ჰქონდათ მოკრეფილი ინგირის აგროკომბინატისა და ნარაზენის მეურნეობათა მეჩაიეებს.

ჩაის კრეფა ორგანიზებულად დაიწყეს კახათის, კორცხელის ჯიხაშკარის, ოდიშის, ჭითაწყარის, შამგონის და სხვა კოლმეურნეობებმა.

ივნისის პირველი დეკადა მიიწურა, მაგრამ ჩაის კრეფა ჯერაც არ დაუწყიათ რაიონის მთელ რიგ საზოგადოებრივ მეურნეობებს. ყველაფერი უნდა ვიღონოთ იმისათვის, რომ დროზე გაღავიღოთ საკრეფად შემოსული ფოთოლი.

დრო არ იცდის. ჩაის კრეფაზე დაყოვნებული ყოველი დღე ათეული და ასეული ათასობით მანეთის დანაკლისია, რაც გარკვეულ ზიანს მიაყენებს მეჩაიეთა ოჯახურ ბიუჯეტს.

ჩაი ხომ ჩვენი არსობის პური და შეძლებული ცხოვრების წყაროა.

იხსნება ზუგდიდის აღდგენის ფონდი

სახელმწიფო საბჭოს ერთ-ერთ სხდომაზე დაისვა ზუგდიდისა და მის მიმდებარე რაიონების მოსახლეობისათვის ყოველმხრივი დახმარების საკითხი. კერძოდ მოწონებულ იქნა წინადადება, რომ შეიქმნას ზუგდიდის აღდგენის ფონდი და სპეციალურად ამ დანიშნულებით აქ გაიხსნას ბანკი. რესპუბლიკის მთავრობას რეკომენდაცია მიეცა ოპერატიულად განიხილოს და გადაწყვიტოს ეს საკითხები, გამონახოს შესაბამისი რესურსები დასახული პროგრამის შესასრულებლად.

საამქროები — დატვირთვით

„საქქაღალდმრეწვის" საწარმოო გაერთიანებაში ამუშავდა გოფრირებული მუყაოს, ჩაის ქაღალდის მკეთებელი და სხვა საამქროები. ყველაფერი კეთდება იმისათვის რომ ქალაქის საწარმოთა ფლაგმანმა ენგურქაღალდკომბინატმა იმუშაოს სრული დატვირთვით.

ლ. ჯოლოხავა.

ქალაქ ზუგდიდისა და ზუგდიდის რაიონის გამგეობის

განკარგულება

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქალაქ ზუგდიდის ტერიტორიაზე სანიმუშო სანიტარული წესრიგის დამყარების, მრავალწლიანი ნარგავების თვითნებურად განადგურებისა და მოხეტიალე პირუტყვების აღკვეთის ღონისძიებათაშესახებ

ქალაქ ზუგდიდისა და ზუგდიდის რაიონის გამგეობა აღნიშნავს, რომ საბინაო-კომუნალური მეურნეობის მრავალდარგოვანი გაერთიანების მიერ გატარებული გარკვეული ღონისძიებების მიუხედავად ქალაქისა და რაიონის ტერიტორიაზე სავსებით არასაკმარისია სანიტარული მდგომარეობა; განუკითხავია სამშენებლო მოედნებზე, ფაქტობრივად ისინი ნაგავსაყრელადაა ქცეული, მოსახლეობის ნაწილი უმოწყალოდ ეკიდება მდინარე ჩხოუშიას, აქ იყრება ყველა სახის ნაგავი, საწარმოები, დაწესებულებები სრულ უყურადღებობას იჩენენ მიმდებარე ტერიტორიების კეთილმოსაწყობად, სანიტარული რეჟიმის დასაცავად.

ცხარგებლეს რა შექმნილი რთული პოლიტიკური ვითარებით მოსახლეობის ერთმა ნაწილმა გაანადგურა ნარგავები, უნებართვოდ იჭრება ხეები, საძოვრებად აქციეს მუზეუმისა და ბოტანიკური ბაღის ტერიტორიები.

მიუხედავად მოსახლეობის მრავალჯერ გაფრთხილებისა კვლავ ადგილი აქვს ძროხების და ღორების გაშვებას ქალაქის ტერიტორიაზე, რაც იწვევს უწესრიგობებს, მოსახლეობის სამართლიან უკმაყოფილებას, ითელება ნარგავები, სკვერები, გაზონები; ჩაის ფილიალის ტერიტორიაზე ანადგურებენ პლანტაციებს მიწის მიტაცების მიზნით.

სერიოზულ შეშფოთებას იწვევს მოსახლეობის მიერ სხვადასხვა კოოპერატივების, კომერციული მაღაზიების, მშენებლობის ხაოჩენების სავალ ნაწილზე დაყრა, რაც ზოგჯერ კვირისა და თვის განმავლობაში არ გააქვთ, ქუჩის კომიტეტები, უბნის ინსპექტორები, სხვადასხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციები, სანიტარული სადგური არ ატარებენ მათ შესაძლებლობაში არსებულ სანქციებს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ქალაქ ზუგდიდისა და ზუგდიდის რაიონის გამგეობა ადგენს:

არასაკმარისად ჩაითვალოს ქალაქში აღნიშნული დარღვევები აღმოსაფხვრელად გაწეული მუშაობა.

ქალაქ ზუგდიდსა და ზუგდიდის რაიონში სანიმუშო სანიტარული წესრიგის დამყარების, მოხეტიალე პირუტყვის აღკვეთისა და ეკოლოგიური მდგომარეობის გაჯანსაღების მიზნით:

ქალაქისა და რაიონის საწარმო-დაწესებულებათა, ორგანიზაციათა კოლექტივების, საზოგადოებრივი მეურნეობების ხელმძღვანელებმა, გამგებლებმა, ქუჩათა კომიტეტების თავმჯდომარეებმა გაატარონ საჭირო ღონისძიებები მათ დაქვემდებარებაში მყოფ ტერიტორიაზე სანიმუშო სანიტარული წესრიგის დასამყარებლად; ამ მიზნით შეიმუშაონ სპეციალური გეგმები, ყოველთვიურად ჩაატარონ სანიტარული დღეები ეზოების, ქუჩების, გაზონების, წყალსაწრეტი არხების წესრიგში მოსაყვანად, სისუფთავის დამკვიდრებისათვის.

ის საწარმოები, ორგანიზაციები, დაწესებულებები, რომლებიც არ დაიცავენ სანიტარულ წესრიგს, არ გაატარებენ ამ მიზნით საჭირო ღონისძიებებს, ადგილობრივი ბიუჯეტის სასარგებლოდ სათანადო სამსახურის მიერ შედგენილი აქტის საფუძველზე დაჯარიმდებიან 500-დან 1000 მანეთამდე, ხოლო ინდივიდუალური მოსახლენი —300-დან 500 მანეთამდე;

ქალაქის ტერიტორიაზე მოხეტიალე პირუტყვის (ძროხები, ღორები) მეპატრონეები დაჯარიმდებიან 500-დან 1000 მანეთამდე. მიწის თვითნებურად მიტაცების მცდელობაზე დაჯარიმდებიან 500-დან 1000 მანეთამდე და გამეორების შემთხვევაში მასალები გადაეგზავნოს პროკურატურას დამნაშავის პასუხისგებაში მისაცემად.

ქალაქ ზუგდიდისა და ზუგდის რაიონის საფინანსო განყოფილებამ სამი დღის ვადაში შეიმუშაოს სპეციალური ფორმები ჯარიმებისათვის და დაწესოს კონტროლი მის ამოღებაზე ადგილობრივი ბიუჯეტის სასარგებლოდ.

საბინაო-კომუნალური მეურნეობის მრავალდარგოვანი გაერთიანების გამწვანებისა და კეთილმოწყობის კომბინატებმა გაატარონ საჭირო ღონისძიებები მწვანე საფარის წესრიგში მოსაყვანად, მისი დაცვისა და განვითარებისათვის მთლიანად, ზუგდიდის მთლიან ტერიტორიაზე დასუფთავების სამუშაოების დროულად და ხარისხიანად ჩასატარებლად.

განკარგულება ძალაში შედის ქალაქ ზუგდიდისა და ზუგდიდის რაიონის ტერიტორიაზე 1992 წლის 1 ივნისიდან.

განკარგულება გაეგზავნოს ყველა საწარმო - დაწესებულებას, სოფლებს, გამოქვეყნდეს გაზეთ „ოდიშში“, გადაეცეს ადგილობრივი საკაბელო ტელევიზიით.

კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაეკისროს ქალაქ ზუგდიდისა და ზუგდიდის რაიონის საფინანსო განყოფილების გამგეს ბატონ კ. წურწუმიას, საბინაო-კომუნალური მეურნეობის მრავალდარგოვანი გაერთიანების დირექტორს ბატონ ნ. მალაშხიას.

ქ. ზუგდიდისა და ზუგდიდის რაიონის გამგეობის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი.

ო. ფაცაცია,

22 მაისი, 1992 წ.

ცილისწამება და... მერე ასეთი?

გაზეთ „ოდიშის“ მიმდინარე წლის 6 ივნისის ნომერში დაიბეჭდა არასწორი ინფორმაცია „მეაბრეშუმეებს ნუ გავანაწყენებთ“, სადაც ავტორი ბატონი ჯინჯოლავა მეტი რომ არ ვთქვათ ყოველგვარი ეთიკის დარღვევით ცილს სწამებს რაიაბრეშუმის დირექტორს მელაძეს და ბუღალტერ ნანეიშვილს. თითქოს მათი თვითნებობით მეაბრეშუმეებს დააკლეს 10 მანეთი და 60 კაპიკი ყოველ კილოგრამ პარკში, რაც უბრალოდ მკრეხელობაა და გავს განაწყენებული კაცის კილოს.

საქართველოს სსრ სახელმწიფო აგროსამრეწველო კომიტეტის მეაბრეშუმეობის სამმართველოს 1988 წლის 18 მარტის №1-33 ბრძანებით ზუგდიდის რაიაბრეშუმს უნდა შეემცირებინა 8 საშტატო ერთეული, მათ შორის პენსიონერები და საპენსიო ასაკს მიღწეული მუშაკები. როგორც პენსიონერი სხვებთან ერთად განთავისუფლებული იქნა ბატონი ჯინჯოლავა.

რაიაბრეშუმის დირექციამ გამოიჩინა რა ჰუმანურობა და მხედველობაში მიიღო ჯინჯოლავას არაერთგზის თხოვნა და სხვა (ოფიციალური თუ არაოფიციალური) მიმართვა ის კვლავ აღდგენილ იქნა იმავე წელს სამუშაოზე იგივე პუნქტის გამგის თანამდებობაზე.

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის 1991 წლის 31 ივლისის №610 დადგენილებისა და მის შესაბამისად საქართველოს რესპუბლიკის სოფლის, ტყის მეურნეობისა და კვების მრეწველობის სამინისტროს 1991 წლის 2 სექტემბრის №63 კ, 1991 წლის 12 დეკემბრის №1—146 ბრძანებების მე-6 მუხლის შესაბამისად 1992 წლის 20 იანვრამდე ზუგდიდის რაიაბრეშუმს ბრძანებით უნდა გაეთავისუფლებინა პენსიონერები და საპენსიო ასაკს მიღწეული მუშაკები.

ამდენად კანონიერად განთავისუფლების შემდეგ განაწყენებულმა პიროვნებამ შეცდომაში შეიყვანა რედაქცია

მომჩივანი ბატონი ჯინჯოლავა თვითონ იყო პარკის მიმღები, მის ხელთ იყო ხარისხის დამდგენი ლაბორატორია და ნაცვლად იმისა, რომ მიგვეღო მთლიანი მასიდან სტანდარტით დადგენილი 84 პროცენტი ხარისხიანი პარკი, რატომ მიიღო 81,8 პროცენტი, ე. ი. 2,2-ით ნაკლები. ეს კი თავისთავად მეტყველებს მიღებული პარკის უხარისხობაზე. ისმება კითხვა, თუ კი პარკის ხარისხი არ ვარგოდა, რომელი ჭკუათმყოფელი ფაბრიკის დირექტორი გადაგვიხდიდა 107 მანეთს წუნსა და ჩბარში, მაშინ, როდესაც დადგენილია წუნი პარკის ერთი კილოგრამის ღირებულება 5 მანეთი, ხოლო ჩხარის 1 მანეთი და 35 კაპიკი. ამდენად ლაბორანტის მიერ გამოვლენილი წუნი პარკი იყო ხარისხიან მასაში და ის თავისთავად გამოაკლდებოდა მეაბრეშუმის მიერ მოტანილ ხარისხიან პარკს და მის ღირებულებას, რაც ჩვენს მიერ საბოლოო ანგარიშსწორების შემდეგ დაბრუნებულ იქნა ძაფსაღებ ფაბრიკაზე თანხით —51105 მანეთი და 96 კაპიკი, რაზედაც არსებობს სათანადო საბუთი. მიღებული ხარისხიანი პარკის მასაში ლაბორანტის მიერ გამოვლინებული იყო 7,9 პროცენტი წუნი, ამან გამოიწვია საშუალოდ არა 33 მანეთისა და 35 კაპიკის, არამედ 27 მანეთისა და 49 კაპიკის გადახდა, ხოლო ხარისხიან პარკში რაიაბრეშუმს თითოეულ მეაბრეშუმეზე გადახდილი აქვს ყოველ ერთ კილოგრამზე 33 მანეთი და 35 კაპიკი.

ეს ბატონმა ჯინჯოლავამ კარგად იცოდა, მაგრამ მას ამოირავებდა სულ სხვა პირადი ინტერესი და არა მეაბრეშუმეთა ბედი. ასე რომ ამით მან რომ იტყვიან სამი კურდღლის დაჭერა მოინდომა: რაიონის მეაბრეშუმეთა გულის აცრუება, რაიონის ჩავარდნა ამ დარგში, რაიაბრეშუმის და თვით ხისი მესვეურთა სახელის დაკნინება იმ მოტივით, რომ უიმისოდ რაიონი ვერ გაართმევს თავს პარკის დამზადებას.

ბუღალტრულ მასალებს ვერსად გაექცევი და თუ კი ეს ასე არ არის, შეიძლება დადასტურდეს შემოწმებით. აქ არავითარი ფასთა ფალსიფიცირება არ მომხდარა და არც შეიძლებოდა მომხდარიყო, თუ კი მასში ჩაიხედავს საქმის სიყვარულითა და საქმით დაინტერესებული კაცი.

ღვთაებრივ კაცს ღვთაებრივი სათნოება უნდა ამშვენებდეს და ამაზეა ნათქვამი „სძლიე ბოროტებასა შენსასო“. შე დალოცვილო 80 წელს მიტანებულ კაცს გეყოს ვაჟკაცობა, იყავი მშვიდად და ნუ გაუმწარებ უდანაშაულო ხალხს სიცოცხლეს, მით უმეტეს ისეთებს, რომლებსაც სამი ათეული წელი თქვენთან ერთად უმუშავნია, თქვენ აქ რაიაბრეშუმში აიდგით ფეხი, დროა შეეშვათ უსაფუძვლო ცილისწამებას, ნუ აყვებით ამბიციებს, ვიყოთ ურთიერთ პატივისცემელნი, რამეთუ ჩვენ ყველანი მოკვდავი ვართ. მტრობით დანგრეული, სიყვარულს უშენებიაო და ნურც თქვენ უარყოფთ ამ ბრძნულ ნათქვამს.

გ. მელაძე,

ზუგდიდის რაიაბრეშუმის უფროსი.

ნუ ჩაუქრობთ იმედს

ძვირფასო ზუგდიდელებო! ცამეტი წლის ბავშვს, ზუგდიდის მეთორმეტე საშუალო სკოლის მეხუთე კლასის მოსწავლეს დავით გურამის ძე ჭანტურიას, რომელიც დაავადებული გულის თანდაყოლილი მანკით ფალოს-ტეტრატით, სჭირდება სამკურნალოდ ამერიკაში გადაყვანა, რაც ფინანსიურ სიძნელეებთან არ ს დაკავშირებული, რის საზუალება ოჯახს არ გააჩნია.

გთხოვთ ნუ ჩაუქრობთ პატარა კაცის გადარჩენის ამ იმედს და დაეხმაროთ. დახმარების ანგარიშზე დავითი გურამის ძე ჭანტურიაზე ავრობანკის ზუგდიდის განყოფილებაში გაჩნილია ანგარიში, ანგარიშის ნომერია 70054.

ღმერთი იყოს დათოს მფარველი.

წინასწარ გიხდით მადლობას კეთილშობილებისათვის.

მშობლები: ზორენა და გურამ ჭანტურიები.

რედაქტორი
აკ. ჭანტურია

მეუღლე შოთა, შვილები: აზა, ზურაბი, ძმა ბოჩია იზორია, რძალი თალიკო ჯიქია, სიძეები: გოდერძი ძაძათავა, კოკა ჭახტურია, მზახალი ლენა ჩუხუა, ძვილიშვილები: სოფიო, დათო, მაძიდაშვილები, ბიძაშვილები, ახლო ნათესავები იუწყებიან

მადენიცა (მადონა)
იზორია-კვარაცხელიას

გარდაცვალებას. პანაშვიდი 18, 19 ივნისს, დაკრძალვა 20 ივნისს, გამოსვენება მერაბ კოსტავას ქ. 32.

დარჩელის პირველი საშუალო სკოლის პედაგოგიური და ტექპერსონალი ღრმა მწუხარებით იუწყებიან ამავე სკოლის სასწავლო ხაწილის უფროსი გამგის

ნანი სუტას ასულ
ხუფენია-ახალაიას

გარდაცვალებას.

შვილი ნანა, სიძე უჩა, შვილიშვილი ალექსანდრე კეშელავა, ძმისშვილები: ვარდიშა, ლუსია, გიგლა, ჟუჟუნა, ვაინა, გულნაზი, ვენერა, შურმანი არქანიები, მზაბალი ნათელა კეშელავა, ახლო ნათესავები ოჯახებით იუწყებ ან, რომ გარდაიცვალა

პიმენ თევდორეს ძე არქანია.

პანაშვიდი 16, 17 ივნისს 18 საათიდან, დასაფლავება 18 ივნისს. გამოსვენება 17 საათზე, ქ. გალი, საქართველოს ქ. 28.

მამა კაპიტონი, მეუღლე ლარისა, შვილები ლაშა, დედიკა, ფერიდე გაბედავები, დები: დინარა, ნენოლა, ძმა გენო, რძალი მერი შელია, სიძეები ვახტანგ ჩხოლარია, ივერი გრიგოლია, დისშვილები: თამაზ, ქეთინო ჩხოლარიები, ლუდმილა გრიგოლია, მამიდა ნადია გუგუჩია, დეიდა ანეტა ფიფია, ბიცოლა კატუშა ფიფია, ძმისშვილები: ნანა, ნინო, ბადრი, რომანი, ადამი გაბედავები, დეიდაშვილები: შუდული, კეზე გაბედავები, ლამარა სამუშია, მამიდაშვილები: გული, ვიდიშა, ველოდი გუგუჩიები, ბიძაშვილები: კონსტანტინე ფიფია, როლანდი, კუკური, მერაბი, დავა, მედიკო, გულნაზი ფიფიები, არველოდა, ჭუპა, ციცი გაბედავები, კრემე, ნათელა, გენატრე მალაზონიები, სიდედრი ხათელა კვარაცხელია, ცოლისდები: ეთერი, ნონა, ცოლისძმები: იმედი, ვალერი კვარაცხელიები, რძალი ზაირა თორდია, ქვისლები: გოლია შელია, ტარიელ კოპალიანი, ახლო ნათესავები იუწყებიან

ფრიდონ (გულიერ) კაპიტონის ძე გაბედავას

გარდაცვალებას. პანაშვიდი 18, 19 ივნისს, დაკრძალვა 20 ივნისს სოფელ ნაცატუში.

და ნენოლა, სიძე ივერი გრიგოლია, დისშვილი ლუდმილა, ციალა ნარმანია იუწყებიან

ფრიდონ კაპიტონის ძე გაბედავას

გარდაცვალებას.

ინდექსი 48507 რედაქციის მისამართი ქ. ზუგდიდი, მერაბ კოსტავას ქ. 56. ტელეფონები: რედაქტორის 2-24-80, რედაქტორის მოადგილის 9 33 40 [illegible] მდივნის 2 31 96 სოფლის მეურნეობის განყოფილების 2 21 78, მშრომელთა წერილების 2-25-12, რადიორედაქციის 2 47 00.

საქართველოს რესპუბლიკის ბეჭდვითი საქმიანობის დეპარტამენტის ზუგდიდის სტამბა. მერაბ კოსტავას ქ. №56. 2-28-07. ტირაჟი 5000, შეკ. №103.